

ინფორმაცია უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ

2005 წელს გაფორმდა ხელშეკრულება "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა" და საქართველოს მთავრობას შორის, ბაქო- თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისთვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტების და ოპერირების დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს მხარეს ყოველ წლიურად გრანტის სახით ერიცხება 1 000 000.00 (ერთი მილიონი) აშშ დოლარი, რომელიც ხმარდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას.